საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3896-03
20/10/2020

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიზეზის მითითების გარეშე სტატუსის შეჩერების მოთხოვნის თაობაზე სტუდენტთა მიერ განცხადებით მომართვის ვადის გახანგრძლივების თაობაზე

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - პირადი განცხადებით მომართვა, მიზეზის მითითების გარეშე სტატუსის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია გააკეთოს სწავლის დაწყებიდან სამი კვირის ვადაში. ამ ვადის დარღვევით გაკეთებული განაცხადი არ განიხილება უნივერსიტეტის მიერ. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდომიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილია პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსის შეჩერების ვადის გახანგრძლივება 2020 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. სსიპ ილიას სახელმწფო უნივერსიტეტში გახანგრძლივდეს მიზეზის მითითების გარეშე სტატუსის შეჩერების მოთხოვნის თაობაზე სტუდენტთა მიერ განცხადებით მომართვის ვადა და განისაზღვროს 2020 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს.

გიგა ზედანია

რექტორი